ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის სხდომის

ოქმი #4

13 დეკემბერი 16.00 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლ.არველაძე, ი.ჯიშკარიანი, ნ.ლაცაბიძე, მ.ამაშუკელი, ა.ხუჯაძე, ქ.ჯოხაძე, ლ.დარახველიძე, მ.დათუკიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ალექსანდრე ტოგონიძე

სხდომას თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე ო.გრიგოლია

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარე ო.გრიგოლია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ალექსანდრე ტოგონიძემ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის წევრებს წარუდგინა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტით ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის პრიორიტეტის ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები:

ბიზნესის სტიმულირება - დაფინანსდება 50.0 ათასი ლარით;

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ტრენინგებისა და მასტერკლასების ორგანიზება მეწარმეებისათვის აქტუალურ თემებზე.

თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები - დაფინანსდება 180,0 ათასი ლარით; განხორციელდება „ევროკავშირის პროექტის" ფარგლებში თბილისის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შემუშავება

თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში - 380,0 ათასი ლარით;

პროგრამა ითავლისწინებს საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებებში მონაწილეობა/ორგანიზებას, ქალაქის საწევროების გადახდას, სტატიებს ცნობილ საერთაშორისო ჟურნალებში

თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა –80,0 ათასი ლარით;

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის მასშტაბით მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის ობიექტების შექმნა; ქალაქის მასშტაბით არსებული ტურისტული ღირშესანიშნაობების აღწერა და ღონისძიებების რეესტრის შექმნა, თბილისის მარკეტინგული ლოგოდ შექმნა და ა.შ

ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია – 450,0 ათასი ლარით;

პროგრამა გამიზნულია დედაქალაქის საინვესტიციო პროექტების შექმნის კვლევებისათვის.

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება – 40,0 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მზის ენერგიაზე მომუშავე მცირე ელ/ტექნიკის დამმუხტი მოწყობილობების მოწყობა.

დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

ო.გრიგოლიამ, მ.დათუკიშვილმა ნ.ლაცაბიძემ, ლ.დარახველიძემ,

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ალექსანდრე ტოგონიძემ კომისიის წევრების კითხვებს დეტალურად უპასუხა.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მომავალ წელს დედაქალაქს რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი ემატება. მისი განმარტებით თბილისს ტურიზმის მიმართულებით თვითონ ექნება პოლიტიკის განსაზღვრის საშუალება, დაიწყება მუშაობა მსხვილ საინვესტიციო პროექტებსა და ეკონომიკური განვითარების ერთიანი სტრატეგიის შემუშავებაზე, რომელსაც გრძელვადიანი მდგრადობა ექნება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხები:

მომხრე --- 8

წინააღმდეგი --- 0

თავი შეიკავა --- 1 (მ.დათუკიშვილი)

გადაწყვიტეს:

ზემოთქმულიდან გამომდინარე „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ შესწორებული პროექტი ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის მიერ, დადებითად იქნა შეფასებული და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტის ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გატანა.

ო.გრიგოლიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე ო.გრიგოლია